ახალი ხარაგაული

№436 (10) 26 ივლისი, 2021 წ.

კობა ლურსმანაშვილმა მერის წარმომადგენლებთან მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან, რომელსაც მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი და მოადგილე დავით დევდარიანი დაესწრნენ.

შეხვედრაზე ძირითადი დრო დაეთმო სოფლებში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს. ასევე განიხილეს ადმინისტრაციულ ერთეულებში ამ პერიოდისთვის გამოკვეთილი პრობლემური საკითხები და მათი გადაჭრის გზებზე ერთობლივად იმსჯელეს.

როგორც აღინიშნა, მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაშია და წარმატებით მიმდინარეობს როგორც რეგიონული განვითარების, ასევე მთის განვითარების ფონდებიდან დაფინანსებული პროექტები. გარდა ამისა, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე წელს ხარაგაულში მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. ამ მიმართულებით სამუშაოები ზოგ ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულებულია, ზოგან კი დასრულების ეტაპზეა.

ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა თათბირზე გააჟღერა, რომ მერია დამატებითი თანხების მობილიზებაზე მუშაობს, რომელიც ძირითადად სოფლებში წყლის ახალი სისტემების მოწესრიგებაზე დაიხარჯება. ასევე, მერის ინფორმაციით, ყურადღება მიექცევა გზის იმ მონაკვეთებს, სადაც მობეტონება - მოასფალტება ამ დრომდე ვერ მოხერხდა და საჭიროა ინერტული მასალის შეტანა და გასწორხაზოვნება.

,,დაგეგმილი გვაქვს ჭაბურღილის გაკეთება ვარძიაში, ზედუბანში, ბაზალეთსა და წყალაფორეთში. როდესაც წყლის დებეტი იკლებს და ზედაპირულ წყლებს ვერ ვაწვდით მოსახლეობას, ახალი რესურსის მოსაძიებლად, ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. აღნიშნულ საკითხზე აქტიურად ვმუშაობთ და ეტაპობრივად, სადაც ეს პრობლემაა, აუცილებლად აღმოიფხვრება. დიდ ყურადღებას ვაქცევთ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და დაგეგმილია რთულ მონაკვეთებზე გზების მოწესრიგება, “-განმარტა ხარაგაულის მერმა.

დასასრულ, კობა ლურსმანაშვილმა ვაქცინაციის აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დაჩქარებული წესით უნდა გაგრძელდეს ქვეყანაში ვაქცინაციის პროცესი. ,,თუ გვინდა, რომ ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდეთ, ვაქცინაცია აუცილებელია. პირადად მე და ჩემმა მოადგილეებმა უკვე ავიცერით და არავითარი უკუჩვენება არ გამოგვლენია. გთხოვთ, სწორი ინფორმაცია მიაწოდოთ მოსახლეობას და აუხსნათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი ჯანმრთელობისათვის ამ პროცესებში ჩართვა.“-განაცხადა ხარაგაულის მერმა.

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი სისტემატურად ხვდება მერის წარმომადგენლებს და სოფლებში მიმდინარე პროცესებს ეცნობა.

ხარაგაულელი პირველკლასელები მუნიციპალიტეტის მერისაგან საჩუქრებს მიიღებენ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველკლასელები მუნიციპალიტეტის მერ კობა ლურსმანაშვილისგან საჩუქრებს მიიღებენ. წიგნ-რვეული ,,პირველკლასელთა აკადემია“ მერიამ კობა ლურსმანაშვილის ინიციატივით შეიძინა და საერთო ჯამში 219 მოსწავლეს გადაეცემა.

ხარაგაულის მერი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროს მარინე ვეფხვაძესთან ერთად, პირადად იმყოფებოდა რამდენიმე სკოლაში, მომავალ პირველკლასელებს უშუალოდ შეხვდა და მათ დედაენის სრულყოფილად დაუფლება და მშობელი

ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული უსურვა.

,,ჩვენთვის მომავალ თაობაზე ზრუნვა პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობთ, ბავშვებს შევუქმნათ ყველა პირობა იმისათვის, რომ მიიღონ სრულფასოვანი განათლება. ხარაგაულელები ყოველთვის გამოირჩევიან ნიჭიერებით და, ვფიქრობ, ეს ტენდენცია სამომავლოდაც გაგრძელდება. მინდა, თითოეულ პირველკლასელს ვუსურვო წარმატება და სიღრმისეული ცოდნის მიღება, რომელსაც სამომავლოდ აუცილებლად გამოიყენებენ ქვეყნის წინსვლა-განვითარების ათვის“.-დასძინა ხარაგაულის მერმა.

თავის მხრივ, მარინა ვეფხვაძემ მადლობა გადაუხადა ხარაგაულის მერს გამოჩენილი ყურადღებისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკოლებს მაქსიმალური მხარდაჭერა აქვთ, როგორც ცენტრალურ ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისგან.

აქვე გეტყვით, რომ წიგნები საგანმანათლებლო პროექტის ,,ეტალონის“ ფარგლებში მომზადდა, რომელსაც საჩუქრად 2021 წლის ოქტომბერ-ნოემბრის IZRUNE.GE -ს ორთვიანი (1+1) VIP აბონემენტიც მოჰყვება.

ხარაგაულის ქუჩა სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს დაეხმარება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, სტიქიით დაზარალებულ ოჯახთა დახმარების პროგრამა განახლდა. შემოსულ განცხადებათა განსახილველად პირველი კომისიის სხდომა ჩატარდა, რომელსაც მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი უძღვებოდა. სხდომაზე დეტალურად განიხილეს თითოეული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, სახლების დაზიანებისა და არსებული მდგომარეობის სიმძიმის მიხედვით, ამ ეტაპზე ფულად დახმარებას 67 ოჯახი მიიღებს. აქედან სამი პირველ კატეგორიას მიეკუთვნება, დანარჩენი კი - მეორეს. საერთო ჯამში ამ მიმართულებით ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ივლისის თვეში 52 300 ლარი გაიცემა.

როგორც მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი განმარტავს, მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინიციატივით, სოციალურ პაკეტში ცვლილება განხორციელდა, რომლის თანახმადაც არა მხოლოდ სტიქიით დაზარალებულ პირთა დახმარება იქნება შესაძლებელი, არამედ პროგრამაში მძიმე პირობების ან სიძველით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მქონე ოჯახებიც ჩაერთვებიან. მისივე ინფორმაციით, შესაძლებელია ასევე, განმეორებით გაეწიოს მატერიალური დახმარება იმ მოქალაქეებს, რომელთაც პირველ ჯერზე აღებული თანხა მიზნობრივად გამოიყენეს. გარდა ამისა, კომისია იტოვებს უფლებამოსილებას, პრიორიტეტულად განიხილოს ის განცხადება, რომელსაც სხვა დამამძიმებელი გარემოებაც გააჩნია.

ვარლამ ჭიპაშვილი ამბობს, რომ ამ მიმართულებით მომართვიანობა საკმაოდ მაღალია, თუმცა არც ერთი მძიმე მდგომარეობა უყურადღებოდ არ დარჩება და მათი დაკმაყოფილება ეტაპობრივად განხორციელდება.

სარაგაულის ისეთ სოფლებში, სადაც რეაბილიტირებული გზა აჩასფალტოს უოფილა, ბეტონის საფარი იგება

მიმდინარე წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 6 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. საერთო ჯამში 30 პროექტის განხორციელება იგეგმება, რომელთაგან უკვე დასრულებულია ვარძიის, (საუბნო), მოლითი, ჩხერის, ქვების (მეორე ეტაპი), წყალაფორეთის (ბაღისა და გაბეხაძეების უბნები), ვერტყვილის (გოგიაშვილებისა და ეკლესიის უბნები), ახალსოფლისა (მეორე ეტაპი) და ღარიხევის (ხელიურის უბანი) გზების რეაბილიტაცია.

სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და დასრულების ეტაპზეა ერეთა-დინარის დამაკავშირებელი, ბაზალეთის (ჭიპაშვილების უბანი), საქარიქედის (მუხების უბანი) - ლაშის იგორეთის დამაკავშირებელი, მარელისის (ცისკაძეების საუბნო გზა - პირველი ეტაპი), ვანი -ღუდუმექეთის დამაკავშირებელი, ვანი - სხლითის დამაკავშირებელი, სარგვეშის (ცისკაძეების უბანი), ბორითის (გოჭოურის უბანი), თეთრაწყაროს (საუბნო გზა - მეორე ეტაპი), ბაზალეთის (ნანიტაშვილების უბანი - მეორე ეტაპი), ლეღვნის (ქვიანთის უბანი), მაქათუბნის (ორი უბნის), სარგვეშის (ხვიჩა მუმლაძის უბანი), ლახუნდარის (საუბნო გზა), ვარძიის (საუბნო გზა), კიცხის (საუბნო) და ფარცხნალის (ბარის უბნის - მეორე ეტაპი) გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ სოფლებში პროექტების მიმდინარეობას სისტემატურად ადგილზე ეცნობა ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი.

,,სამუშაოების ეფექტურად და დროულად შესრულების მიზნით, მუდმივ კონტროლს ვახორციელებთ კომპანიებზე. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ უპასუხისმგებლო მეწარმეების გამო, ის სიკეთეები, რომლებიც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებიდან მოდის, დროულად არ მივიდეს მოსახლეობამდე. თუ ვინმე აღებულ ვალდებულებებს ვადებში ვერ შეასრულებს, სატენდერო პირობების თანახმად, დაჯარიმდებიან და ხელშეკრულებები შეუწყდებათ. ამ ეტაპზე ყველა პროექტზე სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და რაიმე პრობლემას

ადგილი არ ჰქონია.“-აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

კობა ლურსმანაშვილმა წინა წლებში დაუსრულებელ ათ პროექტზეც გაამახვილა ყურადღება.

,,იყო რამდენიმე პროექტი, რომლებიც მეწარმეებს მიტოვებული ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც მერის თანამდებობაზე შევუდექი საქმიანობას, აქტიურად დავიწყე ამ საკითხზე მუშაობა და პრობლემაც დროულად აღმოიფხვრა. ჩვენ მაქსიმალურად უნდა დავიცვათ მოსახლეობის ინტერესები და, ვფიქრობთ, გუნდური მუშაობა შედეგს ყოველთვის იძლევა. საკრებულო, მერია, მაჟორიტარი დეპუტატი და მთავრობა ერთად ვახერხებთ დავძლიოთ ის პრობლემები, რაც ჩვენს მოქალაქეებს გააჩნიათ.“

შეგახსენებთ, რომ წინა წლებში მიტოვებული პროექტებიდან დასრულდა მოლითის, ბაბის, წყალაფორეთის (ბაღისა და გაბეხაძეების უბანი) თეთრაწყაროს (მეორე ეტაპი), ხორითის (პირველი ეტაპი), ნუნისის (ხიდიდან მონასტრამდე), ლეღვან-მარელისის დამაკავშირებელი, გოლათუბნის (სხვერისა და სადგურის უბნები) გზების რეაბილიტაცია.

სამუშაოები მიმდინარეობს სარგვეშში (ცისკაძეების უბანი), ზედუბანსა და დეისში, სადაც ბეტონის საფარი ცენტრალურ გზებზე იგება.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხარაგაულის მერია რამდენიმე საპროექტო წინადადებას დაფინანსებს

ხარაგაულის მერის პირველი მოადგილის, ვარლამ ჭიპაშვილის, ინფორმაციით, 2022 წლიდან ხარაგაულის მერია მოსახლეობას სამოქალაქო ბიუჯეტს სთავაზობს, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან რამდენიმე საპროექტო წინადადება დაფინანსდება. მისივე განმარტებით, საერთო ჯამში ამ მიმართულებით მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, პირველ ეტაპზე 150 000 ლარი დაიხარჯება, თითოეული პროგრამისათვის კი 30 000 ლარამდე იქნება გათვალისწინებული.

მოგახსენებთ, რომ სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის მოსამზადებელი ეტაპი უკვე დაიწყო და წინადადების მიღება 19-დან 30-სექტემბრამდე გაგრძელდება. რაც შეეხება გამარჯვებულ პროექტებს, ამის შესახებ ინფორმაცია ნოემბერში გახდება ცნობილი.

საპროექტო წინადადებების წარდგენა შესაძლებელი იქნება, როგორც ონლაინ, (მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე -kharagaulinews.gov.ge), ასევე ფიზიკურად ხარაგაულის მერიაში.

აქვე გეტყვით, რომ 20 სექტემბერს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მერიაში გაიმართება „ღია კარის დღე", სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, დეტალურად მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

როგორც ჩვენთან საუბარში ვარლამ ჭიპაშვილი განმარტავს, პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია, დაფინანსდეს ინფრასტრუქტურული, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, კულტურული, სოციალური და სპორტული პროექტები და მათი განხორციელება უნდა იგეგმებოდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

საპროექტო წინადადებას უნდა ერთვოდეს შემდეგი ინფორმაცია: წარმომადგენლის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ტელეფონი, ან ელ-ფოსტა, პროექტის სახელწოდება-აღწერა, დასახლებული პუნქტი, სადაც უნდა განხორციელდეს პროექტი და სავარაუდო ბიუჯეტი.

ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პროგრამა ახალ შესაძლებლობებს გაუჩენს აქტიურ და ინიციატივიან ადამიანებს და გაიზრდება ბიუჯეტის დაგეგმვის პერიოდში მოქალაქეთა ჩართულობა.

„სამოქალაქო ბიუჯეტი თვითმმართველობის განვითარების ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. პროექტი საპილოტეა, თუმცა შემდგომში უფრო დაიხვეწება და ფართომასშტაბიან სახეს მიიღებს. დარწმუნებული ვარ, რომ მოსახლეობიდან დადებით უკუკავშირს მივიღებთ და სურვილი იმისა, რომ წამოაყენონ იდეები და იზრუნონ თავიანთი სოფლის განვითარებაზე, საკმაოდ დიდი იქნება."-განმარტა კობა ლურსმანაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის მერიაში სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა ყოველწლიურად განხორციელდება.

ეკა შავიძე

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2 ოქტომბერს გაიმართება

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღი, საპარლამენტო არჩევნების ანალოგიურად, კანონით განისაზღვრა. თარიღთან დაკავშირებული ცვლილება საარჩევნო კოდექსის 133-ე მუხლში შევიდა და, საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებით, არჩევნები ოქტომბრის პირველ შაბათს, 2 ოქტომბერს, გაიმართება.

კიდევ ერთი ცვლილება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს მაჟორიტარებისთვის ბარიერის შემოღება გახლავთ. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, საკრებულოში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 40%-ზე მეტს მიიღებს.

გარდა ამისა, საარჩევნო რეფორმის თანახმად, დამსხვილდა ოლქები და ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 20-ის ნაცვლად 11 სამაჟორიტარო ოლქი იქნება, რაც შემდეგნაირად განისაზღვრა:

- დაბა;
- ბაზალეთი, ლაშე, ღორეშა, სარგვეში;
- ვარძია, წყალაფორეთი, ხიდარი;
- კიცხი, ფარცხნალი;
- ლეღვანი, ვახანი;
- წიფა, ზვარე;
- ხევი, ნადაბური;
- ბოროთი;
- ხუნევი;
- საღანძილე;
- მოლითი.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობას სახურავი შეეცვლება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია, საჯარო სკოლების რეაბილიტაციის მიზნით, არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. სისტემატურად ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს დაბის მესამე საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის სახურავის შეცვლა იგეგმება. სამუშაოების განხორციელების მიზნით, შესყიდვების სამსახურმა ტენდერი გამოაცხადა და უახლოეს მომავალში გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება. საერთო ჯამში აღნიშნულ პროექტზე 28 400 ლარამდე დაიხარჯება.

გარდა ამისა, მოლითის საჯარო სკოლაში ახალი სველი წერტილი აშენდება. ამ მიმართულებით ხარაგაულის მერია 38 000 ლარს დახარჯავს. როგორც დოკუმენტაციაშია მითითებული, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,კეკე" ვალდებულია, სამუშაოები ორ თვეში დაასრულოს.

როგორც ჩვენთან საუბარში საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე აღნიშნავს, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ზემოაღნიშნული პროექტები განხორციელდება და მოსწავლეებს განახლებული გარემო დახვდებათ.

შეგახსენებთ, რომ 2021 წელს სასწავლო წელი 14 სექტემბერს დაიწყება.

ეკა შავიძე

ხიდრის სკოლის პედაგოგს, ცისნარი შველიძეს, „დამსახურებული მასწავლებლის" ჯილდო გადაეცა

ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მარინე ვეფხვაძემ ხიდრის დაწყებითი საფეხურის სკოლის პედაგოგს, ცისნარი შველიძეს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის სიგელი და „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის" ჯილდო გადასცეს.

ხარაგაულის მერმა ქალბატონ ცისნარი შველიძეს პედაგოგობის ასპარეზზე ეს უდიდესი წარმატება მიულოცა და შემდგომში კვლავ ნაყოფიერი საქმიანობა უსურვა.

,,გაწეული ღვაწლის, შრომისმოყვარეობისა და საკუთარი პროფესიის უდიდესი სიყვარულის გამო, ქალბატონმა ცისნარიმ დამსახურებულად მიიღო ეს უდიდესი ჯილდო. მიხარია, რომ განათლების სამინისტრო დიდ ყურადღებას იჩენს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც დიდი რუდუნებით ემსახურებიან მომავალი თაობების აღზრდას. ვამაყობ, რომ ხარაგაულის საგანმანათლებლო სფერო გამორჩეული და ღირსეული ადამიანებით არის დაკომპლექტებული."-აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

ცისნარი შველიძე ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ სკოლა მისთვის ყველაფერია და მაქსიმალურად ცდილობს, განათლების სისტემის რეფორმებს ფეხი აუწყოს.

,,პედაგოგობა ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა. ასმაგად სასიხარულო კი ისაა, როცა შენს შრომას აფასებენ და ყურადღებას იჩენენ. ის, რაც დღეს განვიცადე, აღუწერელი ემოციებია, ამას არ ველოდი. უღრმესი მადლობა ყველას ამ ბედნიერი წუთებისათვის."

მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ ჯილდოზე ცისნარი შველიძე ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურცენტრმა წარადგინა.

ეკა შავიძე

წიგნის - ,,ხარაგაულის ქრონიკების'' - პრეზენტაცია გაიმართა

20 ივლისს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში წიგნის - „ხარაგაულის ქრონიკების" -მეორე შესწორებული გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნის მთავარი რედაქტორი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ისტორიის პედაგოგი ზეინაბ ბუაჩიძეა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა წიგნზე მუშაობის პროცესზე და მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს ბატონ კობა ლურსმანაშვილს. აქვე ყურადღება გაამახვილა, რომ წიგნს წამძღვარებული აქვს აკადემიკოს ელდარ ბუბულაშვილის რეცენზია, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

„ბატონი კობა ჯერ კიდევ გამგებელი ბრძანდებოდა, როდესაც წიგნის გამოცემის იდეა გაჩნდა. ყოველივე ბატონ კობასა და კავკასიის უნივერსიტეტის რექტორ ალექსანდრე რუსეცკის შეხვედრისას დაიგეგმა. სწორედ კობა ლურსმანაშვილის მხარდაჭერით მოხდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან „ხარაგაულის ქრონიკების" პირველი გამოცემის დაფინანსება. წიგნი შეადგინეს მუნიციპალიტეტის ისტორიის პედაგოგთა ასოციაციის წევრებმა და ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებმა. მასში ასევე შესულია თავისი კუთხის ისტორიის ცოდნითა და დიდი სიყვარულით გამორჩეულ ადამიანთა წერილები. წიგნის გამოცემის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია საზოგადოების მიერ უკეთ გაცნობა მუნიციპალიტეტის დიდი ისტორიული წარსულისა, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ტურისტების შემოდინებას," - აღნიშნავს ავტორი.

წიგნის პრეზენტაციას საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე, მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და წიგნის თანაავტორები ესწრებოდნენ.

საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა პაატა კვიჟინაძემ წიგნის ავტორებს გაწეული საქმიანობისათვის მადლობა გადაუხადა. „შედარებით მარტივია სათქმელის ზეპირად, სიტყვიერად გადმოცემა, თუმცაღა რთულია ყოველივე ბეჭდურად წარადგინო, თანაც ასეთ მაღალ დონეზე. მადლობა თქვენ შეუფასებელი შრომისათვის და შემდგომში წარმატებები მინდა, გისურვოთ".

პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას წიგნში შესული ისტორიული მასალების შესახებ წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მეათეკლასელები - მარიამ მდივნიშვილი, მარიამ კიკალიშვილი, თეო ჭიპაშვილი და თამარ ჭიპაშვილი- ესაუბრნენ. ღონისძიებაზე ასევე ნაჩვენები იყო გივი კურტანიძის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „ორიოდ სიტყვა ხარაგაულის სახელწოდების შესახებ."

„ხარაგაულის ქრონიკების" მთავარი რედაქტორი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ისტორიის პედაგოგი ზეინაბ ბუაჩიძეა. სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ - მუშაკი ეკატერინე შველიძე, ისტორიული მუზეუმის ფონდების კურატორი ეთერ-თეკლა ვეფხვაძე, რუკების ავტორი და კარტოგრაფი მანანა შეყილაძე.

თამარ მაღრაძე

სოციალური პროგრამების დაფინანსება 50 000 ლარით გაიზარდა

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს. საკითხი მათ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა გააცნო. როგორც მომხსენებელმა განმარტა, მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურს სოციალურ პროგრამებში ვალდებულებების ასაღებად დამატებით 50 ათასი ლარი ესაჭიროება, მათ შორის, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამაში 20 ათასი ლარი, ერთჯერადი დახმარების პროგრამაში კი 30 ათასი ლარი. გარდა ამისა, 20 000 ლარით გაიზარდა ა(ა)იპ ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების" სამსახურის დაფინანსება. აღნიშნული თანხა სოფლებში სასმელი წყლის სისტემების სარეაბილიტაციოდ დაიხარჯება. წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს.

საღანძილეში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია.

ამჟამად გზის რეაბილიტაცია საღანძილის ტერიტორიაზე ხორციელდება, რომელსაც ადგილზე გაეცნენ ხარაგაულის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი და საღანძილის თემის მაჟორიტარი დეპუტატი დავით კიკნაძე.

მასშტაბური პროექტი ითვალისწინებს: ასფალტის საფარის მოწყობას, ხიდების, გზის სადრენაჟე მილების, კიუვეტების რეაბილიტაცია–რეკონსტრუქციას, საყრდენი კედლების მშენებლობას, გზის მონიშვნასა და უსაფრთხოების ბარიერების მოწყობას.

საავტომობილო გზის ეს მონაკვეთი ხარაგაულის მუნიციპალიტეტს E-60 ავტომაგისტრალთან აკავშირებს და ადგილობრივ მოსახლეობას ამ გზაზე გადაადგილების პრობლემა წლებია, აწუხებს.

აღნიშნული მონაკვეთის რეაბილიტაციის შემდეგ, ჩხერიმელას ხეობის მოსახლეობის გადაადგილება უპრობლემოდ მოხდება, გარდა ამისა, მათი ეკონომიკური მდგომარეობაც გაუმჯობესდება.

პროექტის ფარგლებში, საერთო ჯამში 50-კილომეტრიან მონაკვეთზე იგეგმება 6 - მეტრიანი (1,5- მეტრიანი გვერდულებით ორივე მხარეს) გზის მოასფალტება.

„იმედოვნებ? ვარსებობს ვარსებობენ...“

(სოფელი ვერტყვიჭალა, რესტორანი „მარანი“, სამხატვრო- მუსიკალური პლენერი „გამა-2021“)

2021 წლის 19-20 ივნისი ერთ-ერთ გამორჩეულ და სასიამოვნო თარიღად დარჩება შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე და სიკეთით აღსავსე ადამიანებით დასახლებულ იმერეთის ამ კოპწია სოფლის ცხოვრებაში. სწორედ აქ, ვერტყვიჭალაში, რესტორან „მარნის“ ულამაზეს გარემოში, დაფუძნების მეექვსე წელი იზეიმა სამხატვრო პლენერმა „გამამ“ (პროექტის ავტორი ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი იზა ვეფხვაძე).

როგორც ცნობილი გახდა, პლენერის სტატუსი გაფართოვდა და მან სამხატვრო-მუსიკალური პლენერის სახელწოდება მიიღო. ამ უმშვენიერეს პროექტს, რომელშიც ფუნჯის ცნობილი ოსტატები არიან ჩართული, კიდევ უფრო ძლიერი მაცოცხლებელი სხივები შეჰმატეს თბილისისა და ქუთაისის საოპერო თეატრების წამყვანმა სოლისტებმა, ცნობილმა კომპოზიტორმა მაყვალა ხორბალაძემ, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, ხარაგაულის ვაჟთა გუნდმა („ხარაგაულის ხმები“).

„ - განზრახულია, სამომავლოდ კიდევ უფრო გაფართოვდეს პროექტის მუსიკალური სივრცე,-“ აღნიშნა ჩვენი სამკვიდროს საამაყო ვაჟკაცმა, თბილისის ოპერის თეატრის წამყვანმა სოლისტმა მამუკა ლომიძემ.

***

საოცარი შრომისმოყვარეობით, უზადო გემოვნებითა და მრავალფეროვანი დიზაინითაა დამშვენებული ვერტყვიჭალის ის ტერიტორია, სადაც რესტორანი „მარანი“ მდებარეობს. (დამფუძნებელი ბატონი პაატა ჭიპაშვილი) ამ ადგილს შეიძლება თამამად უწოდო საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის - იმერეთის - ეთნოგრაფიული სამყარო ღია ცის ქვეშ.

აქ მობრძანებულთ უპირველესად თვალწინ გადაეშლებათ დიდი გულისხმიერებით შერჩეულ-შეგროვებული ექსპონატები, რომლებითაც ნათელი ხდება, თუ საიდან მოვდივართ, რით სუნთქავდნენ ჩვენი წინაპრები, რაშია ჩაკირულ-ჩადუღაბებული ამ კუთხის გამორჩეულობის საიდუმლო და რით უნდა ვასაზრდოოთ ჩვენი მომავალი...

***

23 მხატვარი ეწვია ვერტყვიჭალას. მათგან რამდენიმე პირველად შეუერთდა პლენერის შემოქმედებით სივრცეს. დისტანციურად ჩაერთო 11 მხატვარი: თბილისიდან, ისრაელიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან, საფრანგეთიდან, ამერიკიდან...

ამ მასშტაბური პროექტის მონაწილე სტუმრებსა და მასპინძლებს აერთიანებთ: ღვთიური სიყვარული, მეგობრობა, თანადგომა, ქველმოქმედება, სტუმარმასპინძლობის ჟამშეუვალი ადათ-წესები, ერთა შორის მაღალზნეობრივი ურთიერთობის გრძნობა...

ტრადიციულად წარიმართა პლენერის გახსნა-დახურვის ცერემონიალები. პლენერის ჰიმნის ფონზე პლენერის დროშა აღმართეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა კობა ლურსმანაშვილმა და ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა, ამ დღეებში მონაწილეობისათვის ისრაელიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ბატონმა პაატა იოსებაშვილმა.

პლენერის მონაწილენი შეიმოსნენ საპლენერო მაისურებით, რომლის შეძენა-მოხატვა უზრუნველყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონმა რუსუდან გიორგაძემ.

განა შეიძლება დიდხანს არ გაგყვეს იმ სანეტარო წუთების სიამოვნება, როცა ღია სივრცეში უსმენ საოპერო ხელოვნების ნიჭიერ ოსტატებს - მამუკა ლომიძეს, ბაია გრიგოლიას, თეა დემურიშვილს, არმაზ დარაშვილს, ბადრი ადამიას... როცა ებრაელ სტუმრებს მათს მშობლიურ ენაზე შექმნილ პოპულარული სიმღერით („იერუშალაიმ“) ესალმება ხარაგაულის სამუსიკო სკოლის აღზრდილი თამარ ლურსმანაშვილი (პედაგოგი დალი მერაბიშ-

ვილი), როცა საკუთარ ლექსებზე -„ჭიამაია“ (კომპოზიტორი მაყვალა ხორბალაძე), „ფრთახატულა პეპელა“ (მუსიკის ავტორი დალი მერაბიშვილი) _ მელოდიებს ძალზე ლაღად ასრულებს პატარა ანა ჭუმბურიძე, როცა დაჯილდოების ცერემონიალზე მაქსიმალურად ვლინდება სტუმართა და მასპინძელთა მადლიერება...

ძვირფასო მკითხველო!

მინდა, ამ უმშვენიერესი, მართლაც საზეიმო, დღეების შესახებ შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, მასში აქტიურად ჩართულ რამდენიმე პიროვნებას შეგახვედროთ გაზეთის ფურცლებიდან.

პაატა ჭიპაშვილი- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის დეპარტამენტის უფროსი, რესტორან „მარნის“ დამფუძნებელი და მისი ერთ-ერთი მფლობელი:

„-როგორც მოქალაქეს, მიმაჩნია, რომ სახალხო საქმეს, რომელიც შენი მშობელი ქვეყნის ღირსებას წარმოაჩენს, გვერდით უნდა დაუდგე და ყველანაირად შეუწყო ხელი მის განხორციელებას. დიდი სიხარული განმაცდევინა შემოთავაზებამ, რომ სამხატვრო-მუსიკალურ პლენერ „გამა-2021-ის“ გახსნა-დახურვის ცერემონიალებს რესტორანი „მარანი“ უმასპინძლებდა. მახარებს და მაამაყებს, რომ ასეთი ფართომასშტაბიანი პროექტი ჩემს სამკვიდროში, ჩემს ხარაგაულში, ხორციელდება.

მადლობა ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, ამ უნიჭიერესად დაგეგმილი პროექტის ავტორსა და სულისჩამდგმელს, მის მიერ დაფუძნებული, უკვე საყოველთაოდ აღიარებული სახალხო ლიტერატურული თეატრის შემოქმედ კოლექტივს, პროექტში ჩართულ ყველა პიროვნებას.

მზად ვარ, მომავალშიც მხარი დავუჭირო ყველა იმ სიკეთეს, რაც ბარაქიანი სულიერი საზრდო იქნება ჩვენი მომავალი თაობებისათვის.“

მამუკა ლომიძე -თბილისის ოპერის თეატრის წამყვანი სოლისტი, „გამა 2021-ის“ მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელი.

„-ქალბატონი იზა ვეფხვაძე ფასდაუდებელ საქმეს აკეთებს არა მარტო თავისი ხარაგაულისათვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის. თავს ვალდებულად ვთვლი, ყოველთვის გვერდით დავუდგე მას ასეთი დიდი ეროვნული ღირებულების შესატყვისი ჩანაფიქრის აღსრულებაში. მე და ჩემი მეგობრები მზად ვართ, არაერთი პროექტი განვახორციელოთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. ისინი დიდ მადლიერებასა და კმაყოფილებას გამოხატავენ ამ ორი დღის განმავლობაში განცდილი შთაბეჭდილებებით, რითაც კიდევ ერთხელ სიღრმისეულად წარმოჩინდა იმერელთა ტრადიციულად თანამდევი ღირსება, ნიჭიერება, საქმისა და ადამიანის სიყვარული.

ეს დღეები ნამდვილად იყო დიდი ხელოვნების ნაწილი, რომელიც წარუშლელ კვალს დატოვებს სამომავლო ხნულში. როგორც ხარაგაულელი, აღფრთოვანებული ვარ რაიონის ხელმძღვანელი პირებისა და თითოეული იმ ადამიანის ჩართულობა-თანადგომით, რომლითაც ასეთ მაღალ დონეზე წარიმართა ყოველი წუთი ამ ზღაპრული დღეებისა...“

ბაია გრიგოლია - საოპერო მომღერალი, კოლორატურული სოპრანო, ვოკალის პედაგოგი.

„-სამი ზაფხულის ორ-ორი ულამაზესი დღე მაკავშირებს პლენერ „გამას“ მასშტაბურ პროექტთან, ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის პოპულარულ სახალხო ლიტერატურულ თეატრთან, მის ნიჭიერ კოლექტივთან. ბედნიერი ვარ, რომ უფრო ახლოს გავიცანი იმერეთის ეს ულამაზესი კუთხე, მისი სოფლები: ღორეშა, სამება, (დიდი განთიადი), ვერტყვიჭალა...

როგორც სოლისტი, დიდმა სიხარულმა მომიცვა, რადგან გაფართოვდა „გამას“ შინაარსობრივი არეალი და ის გახდა სამხატვრო-მუსიკალური პლენერი.

დიდი მადლობა კომპოზიტორ მაყვალა ხორბალაძეს, რომლის შექმნილი რომანსებიც შევასრულე. ყოველთვის დიდი სიყვარულით გავიხსენებ ჩემი მასპინძლების - თემურ ბლუაშვილისა და თინა კურტანიძის-ოჯახებს. მათგან მონიჭებულ სითბო-სიამოვნებას ვერანაირი სიტყვებით ვერ გამოვხატავ...“

იზა ვეფხვაძე-პროექტის ავტორი, ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი.

„-უკვე ექვსი წელია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე მხატვრები მოუთმენლად ელოდებიან პლენერ „გამას“ გამართვის თარიღის გამოცხადებას. და აი, უკვე სახეზეა სტუმრებისა და მასპინძლების მიერ განეული დიდი შრომის შედეგი. გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, როგორც გასულ წლებში, ამჯერადაც ძალიან მაღალ დონეზე „გასრულდა ესე ამბავი...“, რაშიც ნამდვილად შეუფასებელია ღვაწლი სტუმართა, ღვაწლი მასპინძელთა... მინდა, დიდი გულისხმიერებისა და თანადგომისათვის მადლობა გადავუხადო ხარაგაულის მერს ბატონ კობა ლურსმანაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ქალბატონ მანანა ბარბაქაძეს, თავმჯდომარის მოადგილეს ქალბატონ რუსუდან გიორგაძეს, ფრაქციათა ხელმძღვანელებს, დეპუტატებს, სამსახურებისა და ა(ა)იპ-ების უფროსებს, ჩვენს დიდ მეგობარს, ცნობილ ქართველ ებრაელს, არქიტექტორს, მეცენატსა და ქველმოქმედს - ბატონ პაატა იოსებაშვილს, მასპინძელ ოჯახებს, რიგით მოქალაქეებს.

განუზომელია ძირულის ხეობის მრევლის სულიერი წინამძღოლის, მამა პეტრეს (კურტანიძე), ზრუნვა და თავდადება ესოდენ დიდი საზოგადო საქმისათვის. მადლიერება მინდა, გამოვხატო ვერტყვიჭალის დეპუტატ ქალბატონ ლენა აბაშიძის მიმართ, რომელმაც მამა პეტრესთან ერთად უზრუნველყო მასპინძელი ოჯახების შერჩევა, რომლითაც იდეალური ატმოსფერო შეექმნათ შემოქმედ ადამიანებს. განსაკუთრებულად მინდა გამოვყო რესტორან „მარნის“ უპირველესი მასპინძლების – ბატონი პაატა ჭიპაშვილისა და მისი მეუღლის, ქალბატონი თამარ კურტანიძის დიდი მხარდაჭერა, რესტორნის თანამშრომელთა გულითადი თანადგომა.

დიდი მადლობა ჩვენი თეატრისა და პროექტ „გამას“ თანამდგომ სტუმრებს: ვანო ჯაფარიძეს, ნინო მიქიაშვილს, გიზო თავაძეს, ეკა გელაშვილს, გოჩა გიორგიძეს, იზოლდა მოშიაშვილს, ნინო სალუქვაძეს...

სამხატვრო და სამუსიკო ხელოვნებამ ამჯერადაც ნამდვილად თქვა თავისი სიტყვა. 13 არაჩვეულებრივი ტილო შეემატა ლიტერატურულ თეატრში „გამას“ საგამოფენო სივრცეს, რომელსაც დამთვალიერებელი არ მოაკლდება. მწამს, ტრადიციულად მომავალ წელსაც ხარაგაული და ხარაგაულელები კვლავ ღირსეულად უმასპინძლებენ სამხატვრო მუსიკალურ პლენერ „გამა-2022-ს“.

***

ძვირფასო მკითხველო!..

შეუძლებელია, ამ უმშვენიერესი ორი დღით განცდილი სიამოვნების ფონზე, თანაზიარი არ გახდეთ იმერეთის უკიდეგანო სიყვარულის პოეტურ სტრიქონებში ვერდატეული გრძნობისა, როცა ვკითხულობთ:

„ცა ერთია, მიწაც ერთი,
ქვეყნად ღმერთიც ერთია,
კოკროჭინა იმერეთი?-
მართლაც ერთადერთია!“

ჭეშმარიტად!

P.S. **რასაკვირველია, საგაზეთო სტატიამ „გამა 2021-ზე“ მხოლოდ ძალზე აუცილებელი სათქმელი დაიტია. უკმარისობის გრძნობას აუცილებლად შეგვსებთ „ობიექტივზე“ ცნობილ ჟურნალისტ ნინო მიქიაშვილის საავტორო გადაცემა „მემკვიდრეობა“, რომლის ნახვა თქვენთვის სასურველ დროს შეგიძლიათ.**

შეგახსენებთ, რომ 11 ივლისს, 16 საათსა და 30 წუთზე „ობიექტივის“ ტელესივრცეში 45 წუთი დაეთმო ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელს, სამხატვრო-მუსიკალური პროექტ „გამას“ ავტორს, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს.

მერი გიორგიძე

გზა, რომელიც ესასრულოა...

(დიდი კომპოზიტორის, რევაზ ლაღიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი ხარაგაულის სამუსიკო სკოლაში)

ადამიანთა ცხოვრებით დასაბუთებულია, რომ უფრო ადვილია, იყო მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში დიდი პროფესიონალი, ვიდრე - დიდი ადამიანი. ბრძენკაცთა მიერ სხვადასხვა ფორმით გამოთქმული ეს სიბრძნე ხშირად ამოგვიკითხავს წიგნებიდან, გვსმენია მსჯელობა-მაგალითებით ღირსეულ პიროვნებათა შესახებ. აღმატებული განზომილებით მიესადაგება შესიტყვება - დიდი ადამიანი - ჭეშმარიტად დიდ კომპოზიტორს, მოღვაწესა და მამულიშვილს, რევაზ ლაღიძეს, რომელსაც მიმდინარე წლის 10 ივლისს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

ხარაგაულის მაღალინტელექტუალურ საზოგადოებასა და მოწვეულ სტუმრებს კარგად ახსოვთ, თუ როგორი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნა ზუსტად ხუთი წლის წინათ ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლამ (დირექტორი ქალბატონი ლალი ალექსიძე) ამ დიდი კომპოზიტორისა და ზნემაღალი პიროვნების დაბადების 95 წლისთავი.

გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხარაგაულის სამუსიკო სკოლა ჩვენი მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის ის თვალსაჩინო კერაა, სადაც გულისხმიერი წინამძღოლისა და პროფესიონალი პედაგოგიური კოლექტივის მიერ სათუთად იძერწება თითოეული მოსწავლის სული, ფაქიზდება მათი ბუნება და შედეგიც არ აყოვნებს - ფესტივალებსა თუ საერთაშორისო კონკურსებზე დიდია სკოლის აღზრდილთა თუ აღსაზრდელთა მიერ მოპოვებულ წარმატებათა წილი...

აღნიშნული ერთხელ კიდევ ცხადყო დიდი მამულიშვილისა და კომპოზიტორის -რევაზ ლაღიძის - 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილმა კონცერტმა, რომელიც ხარაგაულის სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა.

შემოუფარგლავია რევაზ ლაღიძის პიროვნული ღირსებანი, მისი შემოქმედებითი დიაპაზონი... ამჯერად ჩვენი მიზანია, მკითხველს კონცერტის გემოვნებით შედგენილი პროგრამითა და შემსრულებელთა ოსტატობით აღსავსე ის წუთები გავახსენოთ, რამაც დიდი სიამოვნება განგვაცდევინა.

კონცერტი მხატვრული სიტყვის ჩვეული დეკლამაციით მიჰყავდა მერიის კულტურის სამსახურის უფროსს, ქალბატონ ირინე ჩხეიძეს. მთელი კონცერტის განმავლობაში მის მეტყველებას გასდევდა ფრთიანი ფრაზა „სიმღერა, რომელსაც სიყვარული ჰქვია..“

კონცერტი გაიხსნა ჰიმნად ქცეული სიმღერით „თბილისო“ (როიალთან ლალი ალექსიძე).

სცენაზეა სამუსიკო სკოლის ბენდი „გრავე,“ რომელიც წარდგა ვრცელი რეპერტუარით (ბენდის შემადგენლობა: კლავიში - დარეჯან გვაძაბია, დასარტყამი ინსტრუმენტი - დავით კვირიკაშვილი, სოლო გიტარა - ირაკლი ცქიტიშვილი, ბასგიტარა - ნიკა კიკნაძე, ფორტეპიანო - დალი მერაბიშვილი, ვიოლინო - თამარ ჩიმაკაძე, ბენდთან ერთად პატარა მევიოლინეები ნინო სანოძე და თინათინ შავიძე (პედაგოგი თამარ ჩიმაკაძე, ბენდის ხელმძღვანელი ლალი ალექსიძე).

სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მაღალი ოსტატობით შეასრულეს: „მუსიკალური მომენტი“ (მარიამ ხაჩიძე), „ახალგაზრდული ვალსი“ (თინათინ შავიძე), „შენ დაგეძებ“ კინოფილმიდან „ყვავილი თოვლზე“ (ნინო ჩიკვაიძე), „თოვლის ფიფქი“ (თეკლა გაჩეჩილაძე), „ტრაბახა ბეკეკა“ (ნიცა ზუმბაძე); კონცერტი დაამშვენეს სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულებმა თამარ ლურსმანაშვილმა („განთიადი“) და სალომე კვირიკაშვილმა („არ იფიქრო, დაგივიწყო“ კინოფილმიდან „ნინო“), მსმენელი მოხიბლა დებიუტანტმა გაბრიელ შარიქაძემ სიმღერით „ადანდალი დანდალი,“ სამუსიკო სკოლის გოგონათა გუნდმა (პედაგოგი დარეჯან კაციტაძე) ააჟღერა სიმღერები „ჰერიო, ჰერიო“ და „ჰიმნი დედაენას,“ ანსამბლმა („ხარაგაულის ხმები“) ჩვეული ოსტატობით შეასრულა „ჩიტი, გვრიტი მოფრინავდა,“ „ტიალო დარიალაო,“ ბენდთან მოწვეულმა პატარა მევიოლინე ნინო სანოძემ არაჩვეულებრივად შეასრულა „აყვავილდა ნუში,“ უდიდესი მოწონება დაიმსახურა კომპოზიციამ კინოფილმიდან „რაც გინახავს ვეღარ ნახავ,“ რომელიც სამუსიკო სკოლის პედაგოგთა კვინტეტმა შეასრულა, ფართოდ ცნობილი ცეცხლოვანი „საჭიდაო,“ რომელსაც დიდმა კომპოზიტორმა დიმიტრი შოსტაკოვიჩმა „ქართული სიმფონიის ფეიერვერკი“ უწოდა, მაღალი პროფესიონალიზმით შეასრულეს პედაგოგებმა დალი მერაბიშვილმა და დარეჯან გვაძაბიამ.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს სამუსიკო სკოლის მეგობარი, პიანისტი, ორღანისტი და სამუსიკო ხელოვნების დოქტორი ალექსანდრე ვასაძე (დედით ხარაგაულელი!), რომელმაც გენიალური „რონდო - ტოკატა“ შეასრულა.

კონცერტის კულმინაცია იყო „ხარაგაულის ხმების“ მიერ შესრულებული „ჩემო კარგო ქვეყანავ,“ რომელსაც მთელი დარბაზი შეუერთდა...

* * *

ხარაგაულის მერმა ბატონმა კობა ლურსმანაშვილმა აღნიშნა, რომ ქართველი ხალხისათვის ფასდაუდებელი განძია რევაზ ლაღიძის შემოქმედება და მადლიერება გამოხატა სამუსიკო სკოლის წინამძღოლის, ქალბატონ ლალი ალექსიძის, პედაგოგების, მოსწავლეებისა და ყველა იმ პირთა მიმართ, რომელთაც ასეთ დონეზე შეძლეს დიდი კომპოზიტორის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა. მერმა მზადყოფნა გამოთქვა, რომ, როგორც დღემდე, მომავალშიც ადგილობრივი ხელისუფლება ზრუნვა-ყურადღებას არ მოაკლებს მომავალი თაობის აღზრდის ამ მნიშვნელოვან კერას.

ლალი ალექსიძე, სამუსიკო სკოლის დირექტორი: – „პოეტმა რეზო ამაშუკელმა ასე მიმართა რევაზ ლაღიძეს:

„შენ ხარ გალობად ქცეული კაცი,
ერმა რომ ძვლამდე გაითავისა...“

დიახ, ვეთანხმები ბატონ რეზოს და მიხარია, რომ ამ კონცერტით ჩვენმა სკოლამ პატივი მიაგო დიდი კომპოზიტორისა და ერისკაცის ხსოვნას.

„არიან შემოქმედნი, რომელთა შემდგომ არაფერი რჩება, არიან შემოქმედნი, რომლებიც ტოვებენ კვალს, არიან შემოქმედნი, რომლებიც ტოვებენ გზას... ჩემი ღრმა რწმენით, რასაც რევაზ ლაღიძის მაღალი ნიჭის მადლი შეეხო, წარმოადგენს გზას, რომელიც უსასრულოა...“ (გია ყანჩელი.).

...და მიქრის მისი ჰანგი მარადიულობისაკენ, უკვდავებისაკენ... ჰანგი, რომელიც „თვით მკვდრეთითაც აღადგენს“ ქართველი ერის რჩეულ შვილს - უკვე საუკუნის დიდ კომპოზიტორად აღიარებულს - რევაზ ლაღიძეს...“

ჭეშმარიტად!

მერი გიორგიძე

ხარაგაულელი პირველკურსელები ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს, გივი მელქაძეს, შეხვდნენ

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, მარინე ვეფხვაძის, ინიციატივითა და მერიის მხარდაჭერით, ამერიკაში მოღვაწე ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის დარგის ასისტენტ-პროფესორი გივი მელქაძე ხარაგაულელ პირველკურსელებს შეხვდა. ღონისძიება ისტორიულ მუზეუმში გაიმართა, სადაც ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მათთვის საინტერესო შეკითხვები დაესვათ და მიეღოთ რჩევები ახალგაზრდა პროფესორისაგან.

ქ-ნ მარინე ვეფხვაძის ინფორმაციით, აღნიშნული შეხვედრის მიზანი იყო, პირველკურსელებს ახლოს გაეცნოთ ხარაგაულელი ახალგაზრდა, რომელმაც თავისი ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით დიდ წარმატებას მიაღწია. ,,პანდემიის გამო არ მოგვეცა საშუალება, ღირსეულად გაგვეცილებინა 2019-2020 სასწავლო წლის სკოლის კურსდამთავრებულები. დღევანდელი შეხვედრაც, შეზღუდვების გამო, მასშტაბური არაა, თუმცა ტრადიცია არ დავარღვიეთ და მოკრძალებულად შევიკრიბეთ. ვფიქრობ, ძალიან თბილი და სასიამოვნო შეხვედრა გამოვიდა.“-აღნიშნა რესურსცენტრის უფროსმა.

გივი მელქაძემ დაბა ხარაგაულის მე-3 საჯარო სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე განაგრძო. ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში (ISET) სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა, გამორჩეული სწავლისათვის კი პროგრამა ,,მომავალი ლიდერის“ სტიპენდიატი გახდა. მას გავლილი აქვს სტაჟირება ლონდონში, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკში (EBRD), რის შემდეგაც ჩაირიცხა ქალაქ ვაშინგტონში, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში. 2019 წელს მას მიენიჭა ეკონომიკის დოქტორის ხარისხი. აღსანიშნავია, რომ ამერიკაში სწავლის პერიოდში იღებდა სტიპენდიას და ამავე უნივერსიტეტში ატარებდა ლექციებს. ამჟამად ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქმიანობს.

,,ორი წელია, რაც ამ უნივერსიტეტში ვმუშაობ და მომავალი 4 წელი აქ ვაპირებ მუშაობის გაგრძელებას. ჩემი სამომავლო გეგმები ჯერჯერობით კვლავ ამერიკას უკავშირდება. რაც შეეხება საქართველოს, მომავალი წლის მაისში დაგეგმილი მაქვს ქალაქ თბილისში ჩამოსვლა და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში (ISET) ლექციების წაკითხვა. აღნიშნული კურსი ორთვიანი იქნება და ლექციებს სწორედ იმავე ფორმატით ჩავატარებ, როგორც ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მინდა გითხრათ, რომ თუ სათანადო მონდომება და სურვილი იქნება, გზა ხარაგაულიდან ამერიკამდე ყველას შეუძლია გაიაროს. ქართველ და ამერიკელ სტუდენტებს შორის ძალიან ბევრი მსგავსებაა. მე იგივე მიზანდასახულობასა და მოტივაციას ვხედავ ქართველ ახალგაზრდებში, როგორსაც – უცხოელებში.“ -დასძინა გივი მელქაძემ.

ღონისძიების დასასრულს ახალგაზრდებისათვის ალაფურშეტი მოეწყო, რომლის ორგანიზება ა(ა)იპ ,,სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრმა“ უზრუნველყო.

მარიამ შარიძაძე

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის მსახიობები იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე დაჯილდოვდნენ

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა ტრადიციულად მიიღო მონაწილეობა ,,იმერეთის თეატრალურ ფესტივალ 2021-ზე“, რომელსაც ქალაქი ქუთაისი მეთორმეტედ მასპინძლობდა. ხარაგაულის დასი ლადო მესხიშვილის სახელობის სახალხო თეატრის სცენაზე ცნობილი დრამატურგის, რეზო კლდიაშვილის, პიესის, ,,იმერული რეკვიემის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლით წარდგა.

ფესტივალის დასრულების შემდეგ კომპეტენტურმა ჟიურიმ ნომინაციაში გამარჯვებულები გამოავლინა და დააჯილდოვა. ,,საუკეთესო ქალი მსახიობი“ (სპექტაკლი ,,იმერული რეკვიემი“) დიპლომი გადაეცა ხარაგაულის თეატრის რეჟისორსა და მსახიობს ირინე ჩხეიძეს, მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო

შესრულებისთვის ლია ჭიპაშვილი დაჯილდოვდა. აღსანიშნავია, რომ პიესა ,,იმერული რეკვიემის“ ავტორი რეზო კლდიაშვილი ჟიურიმ საუკეთესო თანამედროვე დრამატურგად დაასახელა.

,,თეატრალური იმერეთი - 2021-ის“ ფესტივალზე არ გათამაშდა არც გრანპრი, არც ნომინაცია ,,საუკეთესო მთავარი რეჟისორი“, თუმცა ჩვენი თეატრი წელს აშკარად ფავორიტი იყო, რაც არაერთგზის აღინიშნა. ნომინაციაში ,,საუკეთესო ქალი მსახიობი“ გამარჯვება უკვე მეორედ მოვიპოვე, პირველად მაკა კუკულავას პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში (,,ორნი“) თამაშის დროს გადმომეცა. ჩემთვის ეს ჯილდო დიდი პატივია, რადგან ამ ფესტივალში ასეულობით არაჩვეულებრივი მსახიობი მონაწილეობს, ფესტივალს კი კომპეტენტური და ობიექტური ჟიური აფასებს. მიხარია, რომ ვაგრძელებთ ხარაგაულის 120 წლის ისტორიის მქონე თეატრის უწყვეტ ტრადიციას.“-აღნიშნა ირინე ჩხეიძემ.

ლია ჭიპაშვილი: ,,დასის თითოეული წევრი დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ ჩვენზე დაკისრებულ საქმეს და მთელი ძალისხმევა ჩავდეთ სპექტაკლზე მუშაობაში. როდესაც ფესტივალზე გამარჯვებულთა გამოცხადება დაიწყეს და გაჟღერდა ხარაგაული, ყველა საოცარმა შეგრძნებამ და სიხარულმა მოგვიცვა. მეორეხარისხოვანი მსახიობი ქალის ნომინაციაში გამარჯვებას ნამდვილად არ ველოდი და ძალიან ბედნიერი ვარ. ეს არის ჩემთვის მოტივაცია, მომავალი წლისთვის უკეთესად წარვდგე მაყურებლის წინაშე და გაცილებით მეტი წარმატება მოვუტანო 120 წლის ისტორიის მქონე ხარაგაულის თეატრს.“

შეგახსენებთ, რომ ,,იმერეთის თეატრალური ფესტივალი“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით ხორციელდება.

მარიამ შარიძაძე

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში ხარაგაულში სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განსახორციელებელ პროექტებზე სამუშაოები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში აქტიურ ფაზაშია. საუბნო გზების რეაბილიტაცია უკვე დასრულდა უბისაში (სერის უბანში), ბორში (ეკლესიამდე მისასვლელი), საქარიქედში, ჭარტალში, ხიდარში (შარიქაძეების, მასხარაშვილების, აბანოს, გურგენიძეების, ხეცაძეებისა და გელაშვილების უბნებში), გუდათუბანში, ხევში, ციცქიურში, ქვებში (ახალი სასაფლაოს, სკოლისა და ბასილაბიჭების უბანი), ფარცხნალში, სხლითში (კაციტაძეებისა და ტოროშელიძეების უბნები). გარდა ამისა, სხლითში ასევე მოხდა სასაფლაომდე მისასვლელი გზის გაწმენდა - გასწორხაზოვნება, გრიგალათში გზაზე გაკეთდა ცხაური, ვერტყვიჭალაში კი - სანიაღვრე არხი.

წყლის სისტემა მოეწყო ჭარტალსა და გუდათუბანში, ხიდები შეკეთდა სხლითსა (კაციტაძეების უბანი) და ჩხერში (მესხიშვილებისა და ცხოვრებაძეების უბნები). რაც შეეხება გარე განათების სისტემას, სამუშაოები დასრულდა ხუნევსა (მოხდა არსებული გარე განათების სისტემის გაგრძელება) და გედსამანიაში.

შეგახსენებთ, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს მიმდინარე წელს 890 000 ლარი გამოეყო, რომლითაც დაგეგმილია 156 პროექტის განხორციელება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მერის, კობა ლურსმანაშვილის, უშუალო ძალისხმევით, მოხდა 193 000 ლარის დამატება. აქვე გეტყვით, რომ პროექტების შერჩევის მიზნით, ყველა სოფელში ჩატარდა საერთო კრებები და მოსახლეობამ თავად აირჩია, თუ რისი გაკეთება სურდათ.

ხარაგაულის სამუსიკო სკოლაში მედიკოსებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, რეგულაციების სრული დაცვით, სამუსიკო სკოლაში მედიკოსებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომლის მთავარი მიზანი მედპერსონალისთვის კოვიდპანდემიის დროს განეული შრომისათვის მადლიერების გამოხატვა გახლდათ.

ღონისძიებაზე რამდენიმე მუსიკალური ნომერი შესრულდა, რომელშიც მონაწილეობდნენ, როგორც პროფესიონალი მუსიკოსები, ასევე -მოყვარულები.

როგორც ჩვენთან საუბარში მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ განმარტა, ერთგვარი ყურადღების გამოხატვა უნდოდათ მედიკოსებისთვის, რომლებიც კოვიდპანდემიით შექმნილ კრიზისულ ვითარებაში მოსახლეობის გვერდით იდგნენ და თავიანთ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდნენ.

ღონისძიებას მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ესწრებოდა, რომელმაც მედიკოსებს დაუღალავი შრომისათვის მადლობა გადაუხადა.

,,თქვენ ხართ ადამიანები, რომლებიც პანდემიის დროს ერთგულად ემსახურებოდით ხალხს. ხარაგაულის მერის, ბატონ კობა ლურსმანაშვილის სახელით, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ, გამოვხატო თქვენდამი უდიდესი პატივისცემა და ჩვენი მაქსიმალური მხარდაჭერა.“

დასასრულს, ხარაგაულის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა გიორგი ამურველაშვილმა დაფასებისა და გამოჩენილი ყურადღებისთვის მადლიერება გამოხატა ღონისძიების ორგანიზატორების მიმართ, თავის თანამშრომლებს კი პროფესიული წარმატებები, ბევრი ჯანმრთელი და მადლიერი პაციენტი უსურვა.

სამუსიკო სკოლის დირექტორი ქალბატონი ლალი ალექსიძე: ,,ძალიან სასიამოვნო, თბილი და მეგობრული შეხვედრა შედგა. დატვირთული ვარ დადებითი ემოციებით. დღეს თითქოს

ყველანი ერთი ოჯახის წევრები ვიყავით. ჩვენი მედპერსონალი დღედაღამ დგას ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე და დღევანდელი ღონისძიებით, თუკი მათ მცირე შემოქმედებითი სიამოვნება მივანიჭეთ, ძალიან სასიხარულოა.“

მარიამ შარიძაძე

ვერტყვიჭალისა და მარელისის საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

განახლებული შენობითა და ინფრასტრუქტურით შეხვდებიან ახალ სასწავლო წელს ვერტყვიჭალისა და მარელისის საჯარო სკოლის მოსწავლეები. სკოლებს სრული კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება და პროექტის ფარგლებში მოხდება მთლიანად ამ ორი შენობის რეკონსტრუქცია, გარემონტდება საკლასო ოთახები, კეთილმოეწყობა

ფასადი და სველი წერტილები. სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით ხორციელდება. ვერტყიჭალის საჯარო სკოლა 330 ბავშვზეა გათვლილი, მარელისის - 150-ზე.

როგორც მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, ხარაგაულში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის მონესრიგება აქტიურად ხორციელდება და სამომავლოდ ეს ტემპი კვლავ გაგრძელდება.

,,ჩვენთვის განათლება პრიორიტეტია და, შესაბამისად, ვცდილობთ, სკოლებში შევქმნათ მოწესრიგებული და ჯანსაღი გარემო. სასიხარულოა, რომ ფუნდამენტურად უტარდება რეაბილიტაცია ვერტვიჭალისა და მარელისის საჯარო სკოლებს და სექტემბერში ბავშვები სრულიად ახალ გარემოში გააგრძელებენ სწავლას. გარდა ამისა, რამდენიმე სკოლაში, სადაც პრობლემა იყო, მოწესრიგდა სველი წერტილები და ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი. კიცხში აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ეზოს მოპირკეთება. უახლოეს მომავალში გადანყდება წყალაფორეთის სკოლის საკითხი, ვფიქრობ, აქაც ახალი შენობის აგება მოხდება.“-განაცხადა ხარაგაულის მერმა.

ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის დირექტორი ლენა აბაშიძე მადლიერებას გამოხატავს ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ და აცხადებს, რომ ამ მასშტაბური პროექტის განხორციელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ხარაგაულის მერს, ბ-ნ კობა ლურსმანაშვილს.

,,მისასალმებელია, რომ ხელისუფლება მუდმივად ზრუნავს მომავალი თაობის განვითარებასა და განათლებაზე. სკოლაში ნამდვილად უმძიმესი მდგომარეობა იყო და მოხარული ვარ, რომ ეს პრობლემა აღმოიფხვრა. პროექტის ფარგლებში ასევე მოეწყობა შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო, რეკრეაციული სივრცე და ღია სპორტული ინფრასტრუქტურა. აქ ასევე იქნება სპორტდარბაზი, გამოსაცვლელი ოთახებითა და დუშკაბინებით.“-აღნიშნავს ქ-ნ ლენა.

მარელისის საჯარო სკოლის დირექტორი ვერა ოდიკაძე მიიჩნევს, რომ სოფელში ასეთი თანამედროვე სკოლის არსებობა მიგრაციის პროცესებს შეაჩერებს და ძალიან ბევრი ოჯახი დაუბრუნდება მშობლიურ მხარეს.

,,მართალია, ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ყველაფერი საუკეთესოა. თვალსა და გულს ახარებს სარეაბილიტაციო სამუშაოების მაღალ დონეზე მიმდინარეობა. სულ მალე ძალიან ლამაზი სკოლის შენობა გვექნება და, ვფიქრობ, ბავშვთა კონტინგენტიც გაიზრდება. მადლობა მინდა, გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ უდიდეს საქმეში წვლილი შეიტანა.“-აცხადებს ვერა ოდიკაძე.

შეგახსენებთ, რომ მარელისისა და ვერტყვიჭალის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია აგვისტოს ბოლოს დასრულდება. ახალ სასწავლო წელს მოსწავლეები ახალ და კომფორტულ გარემოში შეხვდებიან.

ეკა შავიძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12